№6 2013

მასწავლებელი

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009" წიგნის მაღაზიაში – ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 296 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი



მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო

ჟურნალი „მასწავლებელი"

რედაქტორისგან

ყოველი ნომრის სტამბაში გაშვების წინ ვფიქრობ, რაზე მოვყვე რედაქტორის წერილში.

ცუდი ჩვევა მაქვს – ბოლო დღისთვის გადადებული საქმე მიყვარს. ზოგჯერ – ბოლო წუთისთვისაც კი.

სათქმელი მართლაც ბევრია, წერილის მოცულობა – მცირე, ამიტომ მიჭირს უამრავიდან ყველაზე მნიშვნელოვანის – მოდური გამოთქმა რომ მოვიშველიო, „ძირითადი გზავნილების“ – გამოყოფა.

ხვალ ჟურნალი „მასწავლებელი“ ბეჭდვაზე უნდა წავიდეს. მე ისევ მონიტორს შევყურებ და ვფიქრობ, რაზე გესაუბროთ. თან ვჩქარობ, რომ წერილი დროულად მივაგებო დასაბეჭდად ფეხადგმულ ჟურნალს.

სწორედ ასეთ დროს გვეხმარება ადამიანებს გულწრფელობა და სიმართლე საკუთარი თავის შესახებ და მეც უბრალოდ ვყვები იმაზე, რაც აქ და ახლა ხდება.

რატომღაც მომინდა, ურთიერთობების შესახებ მეთქვა თქვენთვის.

არადა, თითქოს ხშირად ვწერთ და ვსაუბრობთ მათზე, მათ შორის – სასკოლო ურთიერთობებზეც.

თუ მასწავლებლისა და მოსწავლის, მშობლისა და შვილის, სკოლის დირექციისა და მასწავლებლის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სკოლის ურთიერთობებს კარგად გავეცნობით და ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ისინი, მიუხედავად მრავალწახნაგოვნებისა, ძირითადად ცალმხრივია და ხშირად – ვაღიაროთ – უთანასწოროც.

ხშირად ვამბობთ (მაგრამ იშვიათად გამოგვდის), რომ განათლებისა და თუ ინფორმაციის გადაცემა და მიღება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და არამხოლოდ მათ შორის, ყველა ზემოხსენებული მხარის მონაწილეობით და თანაბრი ჩართულობით უნდა ხდებოდეს.

თუმცა მეც და თქვენც ხშირად გვეჩვენება, რომ რაკი ვასწავლით – უნდა ისწავლონ, რაკი მითითების შესაძლებლობა გვაქვს – უნდა მივუთითოთ, რაკი გადაწყვეტილების მიღების უფლება მოგვცეს – უნდა მივიღოთ, რაკი ვასწავლით – ვიცით. ხშირად მათ ნაცვლადაც ვფიქრობთ, ვისაც ვასწავლით; გვგონია, აუცილებლად უნდა მოგვისმინონ, დაგვემორჩილონ, მაშინაც კი, როცა არ გვეთანხმებიან.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ცალმხრივობის ეს განცდა რომ ავაცილო, კიდევ ერთხელ ვიწვევ სათანამშრომლოდ. ჟურნალის შინაარსის განსაზღვრაში თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ხშირად მოგვწერეთ თქვენს საჭიროებებზე.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N6(30),2013

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, მაია ფირჩხაძე, ირინა აბულაძე, ქეთევან ქობალია, ეკატერინე შავერდაშვილი, ნესტან რატიანი, გიორგი ნოზაძე, კახა ჟღენტი, თამარ ტალიაშვილი, მერაბ ლაბაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

4 სწავლის კომპონენტები

მოსწავლეები სწავლობენ მნიშვნელობის ძიების გზით. ისინი აკეთებენ შედარებებსა და შეპირისპირებებს. ისინი პირველ რიგში ინტერესდებიან, რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ინფორმაციას მათთვის. მათ სჭირდებათ მიზეზები იმისთვის, რომ ისწავლონ – იდეალურ შემთხვევაში, ის მიზეზები, რომელთა საშუალებითაც ახალ ინფორმაციას პირად გამოცდილებას დაუკავშირებენ და ამ ინფორმაციას ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატებით გამოიყენებენ.



ირინა აბულაძე

8 კარგი მასწავლებლები არ ასწავლიან

საუკეთესო მასწავლებლები მართავენ მოსწავლეთა სასწავლო გამოცდილებას ისე, რომ მოსწავლე ყველაფერს ძალზე ცხადად შეიგრძნობს ფიზიკურად, ემოციურად და ინტელექტუალურად. ამგვარი მიდგომა განათლების მრავალი სპეციალისტის მიერ იქნა აღიარებული, როგორც გამართლებული ფორმა, თუ გვსურს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

მოსაზრება

თეო ნეფარიძე

12 ვასწავლოთ აკადემიური წერა ნეიროპედაგოგიკა სწავლების არსებული მეთოდების ვალიდაცია და ახალი მიდგომების დანერგვის პერსპექტივები

ნეირობიოლოგიური კვლევების დასკვნა, რომ ტვინი მხოლოდ გონი არ არის, არამედ გონებისა და ემოციის კომბინაციაა, განათლების სრულებით ახალი პარადიგმის შემუშავების საჭიროებას ქმნის და სწავლების სფეროში მოღვაწე პირებს, მათ შორის მშობლებს და მოსწავლეებს, განსხვავებული გამოწვევების წინაშე აყენებს.

გიორგი ნოზაძე

16 განმავითარებელი შეფასებისთვის შესაფერისი დავალებების მაგალითები და შეფასების შედეგების ანალიზის ნიმუშები

ამგვარი აქტივობები მეტ დროს საჭიროებს, ვიდრე ტრადიციული სწავლება, მაგრამ ახალი მასალის დაწყებამდე დროის ნაყოფიერად გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს მოსწავლეების დაბნეულობა, გაწბილება და იმედგაცრუება.

ეკატერინე შავერდაშვილი

24 მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობის სავარჯიშოთა ტიპოლოგია

უცხო ენის გაკვეთილზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსასმენი ტექსტების შერჩევას. სწორად შერჩეული ტექსტი პირდაპირ კავშირშია გაკვეთილის პროცესის საინტერესოდ და ეფექტიანად წარმართვასთან. ტექსტის შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექსტებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ენის შემსწავლელთა ინტერესებზეა გათვლილი და ზეპირი ენის სტრუქტურას და მის სპეციფიკურობას ითვალისწინებს.

ნესტან რატიანი

35 Vici და, აქედან გამომდინარე, ვიცი

სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა ხელს კი არ უშლის, არამედ ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აკადემიური საგნების ათვისების უნართან. ბავშვებს, რომლებიც სპორტით არიან დაკავებულები, გამარჯვებისკენ სწრაფვა ახასიათებთ. სპორტი მარტო ვარჯიში კი არა, შეჯიბრიცაა, ხოლო შეჯიბრი გამარჯვებისკენ სწრაფვას გულისხმობს.

შინაარსი

8

რესურსი

20 | მაია ფირჩხაძე
ხმამაღალი ფიქრები გაკვეთილზე

როგორ უნდა დავაფიქროთ მოსწავლეები საკუთარ პრობლემებზე? როგორ უნდა მივაღებინოთ სწორი გადაწყვეტილება, გავაკეთებინოთ სწორი არჩევანი? ჩვენ ხანდახან ჩვენს თავზე ხმამაღლაც კი ვფიქრობთ, თითქოს ჩვენს თავთან ვსაუბრობთ. ეს გადამწყვეტ მომენტებში ყველაზე მეტად გვეხმარება. როგორ ვასწავლოთ ჩვენს მოსწავლეებს ხმამაღალი ფიქრი და საკუთარ თავთან საუბარი?

36 | თეო ჭყოიძე
როგორ ვასწავლოთ ამბავი, რომელიც მორალს შეიცავს?

ეთიკურ საკითხებზე დიკუსიებისა და დებატების საშუალებით, მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვასა და დასაბუთებას, მსჯელობის შედეგების რეალურ ცხოვრებაში განზოგადებას.

48 | ქეთევან ქობალია
უმცროსკლასელთა ფიზიკური განვითარება ოჯახში

თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მართლაც ჯანმრთელი და ფიზიკურად განვითარებული იყოს, თუ ჩვენ გვინდა, რომ სასკოლო მეცადინეობებმა იგი ამ მხრივ ვერ შეზღუდოს, აუცილებელია, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მისი დღის წესრიგი მკაცრად იყოს დაცული და რეგლამენტირებული, რაც, სპეციალისტების რჩევით, უნდა აკმაყოფილებდეს, სულ ცოტა, სამ ძირითად მოთხოვნას. ესენია: გეგმაზომიერი მოძრაობა, ნორმალური ძილი და რაციონალური კვება.

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

რესურსი

32 | თამარ ტალიაშვილი
კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენებით: სტადიები და მეთოდიკა

სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს სამეცნიერო კვლევის ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, რომელიც მაღალი მოტივაციის მქონე მასწავლებლების გადასაჭრელი იქნება – იმ მასწავლებლების, რომლებიც სირთულეებს არ გაურბიან და ექსპერიმენტი მათი პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია.

40 | სოფო გორგოძე
როგორ სწავლობენ ზრდასრულები

ზრდასრულებს კარგად უნდა ქონდეთ გააზრებული თუ რას სწავლობენ, ასევეუნდა სჯეროდეთ, რომ რასაც სწავლობენ ნამდვილად სჭირდებათ და დროს და ენერგიას ტყუილად არ ხარჯავენ.ზრდასრულების მიზნები და მათი მოლოდინი იმისა თუ რას ისწავლიან მნიშვნელოვნად განაპირობებს მათი სწავლის მოტივაციას.

53 | მერაბ ლაბაძე
ახალგაზრდა აღმომჩენთა კლუბი – სამყაროს მეცნიერული შეცნობის სახელოსნო

შემეცნების მკვლევარებმა და ნეიროფიზიოლოგებმა დაადგინეს, რომ სამყაროს შეცნობის ინტერესი ფორმალური განათლების სისტემაში სწრაფად ქრება მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად. მეცნიერული აღმოჩენის მუხტი, რაც ამოძრავებს ცივილიზაციას, თითქმის დაკარგულია სასკოლო სახელმძღვანელოებში და პირდაპირი ინსტრუქტაჟის გზით მიწოდებულ ინფორმაციაში. ამავე დროს დადგენილია, რომ მოსწავლე იმახსოვრებს წაკითხული ინფორმაციის მხოლოდ 10%-ს, მოსმენილის – 20%-ს, ხოლო საკუთარი ხელით გაკეთებულის – 90%-ს.